№ 278 დეკემბრის 25, სამშაბათი. 1866—1884 დეკემბრის 25, სამშაბათი. № 278.

# დროება

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერას მიიღებენ ტფილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

**დღესასწაულების გამო, შემდეგი ნომერი გამოვა დეკემბრის 28-ს.**

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

## „დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როსტომაშვილთან; გორში — ალალო თუთაევთან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

იქვე და იმავე პირებთან, რომელნიც ზემოდ არიან გამოცხადებულნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა ჟურნალს

## „ივერიაზედ“

ვინც ცალკე დაიბარებს მთელის 1885 წლით ჟურნალს «ივერიას», უნდა გამოგზავნოს წლის ხვედრი ფული შვიდი მანათი (სოფლის მასწავლებელთათვის ხუთი მანათი) „დროების“ რედაქციაში ამ ადრესით: Въ Тифлисъ, въ Редакцію «Дроэба».

ვისაც უფრო ემარჯვებოდეს შეუძლიან «დროება» და «ივერია» ერთის წერილით დაიბაროს და ამისთვის ხვედრი ფული 16 მანათი გამოგზავნოს «დროებისვე» ადრესით.

რედაქცია «ივერიისა» ჰსთხოვს მათ, ვისაც წერილების და სტატიების გამო საქმე ექმნება რედაქციასთან, მიჰმართონ თვითონ რედაქტორს ყოველ დღე დილის რვა საათიდამ დილისვე ათს საათამდე, ახალ ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 1.

რედაქტორი «ივერიისა» ილია ჭავჭავაძე.

### გლეხთა ოჯახების გაყრის საქმის გამო.

თბილისი, დეკემბრის 25-ს.

ამ ორიოდ დღის წინად, ტელეგრამამ მოგვიტანა ამბავი, რომ, თუმცა დაუყოვნებლივ უნდა განხილულიყო საქმე გლეხთა ოჯახების გაყრისა, მაგრამ სახემწიფო რჩევამ მოკლეს ვადით გადასდვა ამ საქმის არჩევა, რადგან საჭიროდ სცნა, ცნობაში იქმნას მოყვანილი, რამდენი გაყრილა და რა ყოფილა მიზეზი გაყრისა, სულ რამდენია რიცხვი გლეხთა ოჯახებისა და თითოეულს მათგანს რამდენი წევრი შეადგენს.

როგორც ჰხედავს მკითხველი, სახემწიფო რჩევა შეჰხებია დიდად საყურადღებო საგანს. ვისაც თუნდ ორი დღე, ორი კვირა და ორი თვე უცხოვრია გონივრულად სოფელში და ბუზები არ უთვლია, ყველა შენიშნავდა, რომ გლეხთა ოჯახების გაყრა არის ერთი იმ გარემოებათაგანი, რომელიც გამოჰხატავს სასოფლო საოჯახო დრამას. მიზეზი, რომლითაც გამოიწვევა ეს დრამა მრავალ-გვარია, მაგრამ მისი შინაარსი, მისი თავი და თავი აზრი ერთი და იგივე რჩება.

რა არის ეს შინაარსი? ყველამ იცის, რომ გლეხი მუშა კაცია, შრომის შვილი და მისი შეხედულებაც ქვეყნიერობაზედ დამყარებულია ერთს იმის ღრმა რწმენათაგანზე, რომ ყოველმა, ვისაც კი ეს შრომა შეუძლიან, ვინც სნეული და ავადმყოფი არ არის, უნდა იშრომოს, უნდა ოფლი ღვაროს და მხოლოდ ამ ოფლის ღვრით, ამ შრომისა და ჯაფის ტვირთებით დაიმსახუროს ერთი ლუკმა პური, ამ გამუდმებულის ღვაწლით და ჭირნახულით გაუძღვეს არა მარტო თავის უბრალო მარტივს მოთხოვნილებას, არამედ ყველას, ვისაც მისი გვარი შრომა წილად არა ჰხდომია, ანუ როგორც თვითონვე ამბობს ხოლმე, უნდა პასუხი გასცეს: ხემწიფეს, მღვდელს, მოხელეს; უნდა აცხოვროს ქვეყანა და არ მოიმდუროს არც ერი და არც ბერი. ეს რწმენა გლეხისა არის მიზეზი, რომ მას გულითა და სულით უყვარს ყოველივე არა თუ თავის თვისი და ტომი, არამედ შორეულიც, ოღონდ კი ერთსაც და მეორესაც და მესამესაც ეხერხებოდეს ჯაფა, ემარჯვებოდეს საქმენი საგლეხონი. ვისაც უცხოვრია სოფელში—და რომელს ქართველს არ უცხოვრია—შეუნიშნავს ის გატაცებული გრძნობა, რომელსაც არა მალავს გლეხი, როცა ლაპარაკობს, თუნდ მაგალითად კარგს მოსავალზე, კარგს მთოხნავზე, კარგს მბარავზე, ლამის-მეხრეზე, გუთნის-დედაზე და სხვ. და სხვ. ესევე უცქერის გლეხი ქალსაც, კაცობრიობის მეორე ნახევარსაც და ისე არას აფასებს, როგორც ჯან-მრთელობას, ღონიერს აგებულობას და მოჯაფეობას, შრომის მოყვარეობას. გლეხის აზრით ქალს, დედა-კაცს გლეხ-კაცის ცხოვრებაში ფართო და დიდი ადგილი უჭირავს, იგი დარწმუნებულია, რომ დედა-კაცის საოჯახო მოხერხებაზედ, დიასახლისობაზედ — ბევრად დამოკიდებულია მოჯაფარე, შრომის

კვირას, იანვრის 6-ს,

სათავად-აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტი გამართავს თბილისის «პრუქოკის» დარბაზში

## ბალს

სკოლის სასარგებლოდ. ქალები შეიძლება დაესწრონ ბალს გულ-შეკრული კაბებითაც. ბალი დაიწყება სალამოს ცხრა საათიდამ.

ბილეთის ფასი ორ-ორი მანეთია. წინადვე ბილეთების ყიდვა შეიძლება შავერდოვის პავილიონში და პრუქოკის შვეიცართან.

**«დროების» ფელეტონი, დეკემ. 25-ს**

## ელეონორა

(მოთხრობა[*])

### VIII

ხელთუბნელი გამოცდილი კაცი იყო და, როდესაც საჭიროება მოითხოვდა, გვიანობა არ უყვარდა. რა წამს შუაკაცები გაისტუმრა, მაშინათვე განკარგულება მოახდინა, რომ ყველა ახლომახლო სოფლები გაფთხილებული ყვენენ, რადგანაც დღე-დღეზედ ლეკების თავს დასხმა მოელოდათ. თითონაც გაამაგრა ციხე-გალავანი და საკმაო სურსათი შეზიდა, რადგანაც კარგად ესმოდა, რომ თუ ასლან-ბირეიმ თავისი განზრახვა გაამართლა და ჩალმეთზედ გამოილაშქრა, ცოტა ჯარს არ წამოიყვანდა. არც იმით ატყუებდა თავსა, რომ ბრძოლა ხახუმრო იქნებოდა. იცოდა, რომ ასლან-ბირეის ხუმრობა არ უყვარს და მისი ბრძოლა ბევრს მამაცს დააკვნესებდა, ბევრს გაუყინავდა ტუჩებზედ მომდგარს ღიმილს.

როდესაც ყველაფერი გამართა და წამოიძახა: «ეხლა თუნდა მთელი ლეკეთი მოვიდესო» —გასწია ქალის საწოლისკენ.

ელეონორა დაფიქრებული და დაღონებული ქვეშაგებში იჯდა. იმისი ფუნჩულა ლოყები ჩამომდნარიყვნენ და ვარდისთვის საშურველ ელფერში სიყვითლე შეჰპაროდა. პანი ძალზედ გასთხელებოდა და ქარვას დამგზავსებოდა. შვილდად მოყვანილი წარბები შუბლთან შეჰკუმშოდა და უფრო მეტად მოხრილიყო, თითქოს ისრისგან გაძაბულს ლარს მეტის-მეტად მოეწიაო.

მამის შესვლაზედ ქალმა უნუგეშოდ აილო თავი, შეხედა და ისევ ძირს დაუშვა თვალები.

სვიმონ წყნარა მივიდა, აკოცა შუბლზედ და იქავ ტახტზედ ჩამოჯდა.

— ელეონორა, ჩემო ნუგეშო! როგორა ხარ? ჰკითხა სვიმონმა, ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— არ მეძინება, უკმაყოფილოდ წარმოსთქვა ქალმა.

— რა მოგდის, რა გიკრთობს ძილსა?

ქალი თითქოს გაკრკალდა, ერთი წარბი შეუთამაშდა და უპასუხა:

— ვითომც ეგ სულ ერთი არ იყოს?

— კარგი, კარგი შვილო ნუ ჯავრობ. ზრუნვით უთხრა მამამ და გაჩუმებულმა ყურება დაუწყო.

— იცი რა გითხრა, შვილო, სიჩუმის შემდეგ სიფთხილით დაიწყო სვიმონმა.

— არ ვიცი. მოკლედ მიუგო ავადმყოფმა.

— ჩემთან ლეკები იყვნენ სტუმრადა.

ელეონორამ ყურები აცქვიტა და ხმა ამოიწმინდა, თითქოს მღელვარებამ ყელში ხრინწი მოჰკიდაო.

— ლეკები?!...

— ჰო, შვილო.

ჩამოვარდა სიჩუმე. ელეონორას ქშენამ მოუმატა და ბოლოს გაბრაზებით წარმოსთქვა:

— რა ვუყოთ, რომ იყვნენ? შენთან ლეკები ყოველთვის დადიან.

— არა, წარმოიდგინე რად იყვნენ და?

— შეთუოდ სასყიდელი ექნებოდათ რამე. იმედ-გადაწყვეტილსავით წარმოსთქვა ქალმა.

— არა.

— მე... რაში მეკითხება მამავ, მენი ჭირიმე ვინ, ან რისთვის-იყვნენ?

— არა, გამიგონე ერთი, და...

— რა უნდოდათ?

— შენა გთხოულობდენ?! ჩაცინებით და გაკვირვებით წარმოსთქვა მამამ.

ელეონორას სწრაფად ლოყები აენთო, თვალები გაუბრწყინდა და ტუჩებმა ცახცახი დაუწყო. იმას ეგონა რომ სმენამ უღალატა:

— რა სთქვი, მამავ?

— შენა გთხოულობდენ-მეთქი!

ქალმა წამოიწია, კიდევ რამოდენჯერმე ხმა ამოიწმინდა და ბოლოს ძლივს მოახერხა:

— ვისთვის?

[*]) იხილე „დროება“ № 277.

მოყვარე გლეხ-კაცის ოჯახის ბედნიერება, ალმა დატრიალება.

ეს შეხედულება გლეხ-კაცისა, რომელიც განმარტავს მის ზნეობრივს ფიზიონომიას და რომელიც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი საუკუნოებით, ისტორიულად არის შედეგი ერის ხანგრძლივის კულტურულის ცხოვრებისა,— ჩვენს სანუგეშოდ, ჩვენდა საბედნიეროდ, სრულიად გონივრულს, კანონიერს შეხედულებას წარმოადგენს; კანონიერს წარმოადგენს მით უფრო, რომ იგი არ არის მეტისმეტად ბრიყვულად და ჯიუტად განხორციელებული ჩვენს გლეხ-კაცში. ეს შეხედულება ვერა სჩაგრავს ვერა სთრგუნავს მის ზნეობრივს არსებაში სხვა ამ გვარსავე გონივრულს, ზნეობრივ და კანონიერ მოთხოვნილებას მაღალის კაცობრიულის ბუნებისას*).

რამდენადაც გლეხს შრომა და მშრომელნი უყვარს, იმდენადვე კარგად აქვს შეთვისებული, რა ძალა აქვს როცა სხვა მშრომელთან არის შეერთებული, და ეს მშრომელნი ერთს ოჯახად არიან დაკავშირებულნი. მარტო ხელობა, ობლობა შრომაში, ოჯახში, გლეხისთვის ერთი საშიშარი მოვლენათაგანია, რომელსაც ერიდება და რომელსაც ღვთის რისხვას ეძახის. «ერთი კაცი ჭამაშიაც ცოდოაო», ამბობს გლეხი და ამით ცხადად აღიარებს, რა უძლურებაა გლეხის ოჯახობისათვის, რა უბედურობა და საცოდაობაა მისთვის მარტო ხელობა ოჯახში, საოჯახო საქმეში და მეტადრე ისეთს მძიმე და რთულს წარმოობაში, როგორიც არის წარმოობა მიწის-მოქმედებისა და ხვნა-თესვისა.

გლეხ-კაცისა და საზოგადოდ ჩვენის ხალხის ამ გვარმა შეხედულებამ შეიმუშავა ყველასთვის კარგად ცნობილი ტიპი ოჯახისა, ტიპი დიდის და განუყოფელის სახლობისა, რომელსაც შეადგენდენ ძმები, ძმის წულები, ბიძები, მრავალი რძლებით, მამამთილ-დედამთილით, სახლობას, რომელსაც ედგა დიდი დარბაზი, ჰყავდა გუთნეული, ძროხა, ცხვარი, ღორი და რომელშიაც ტრიალობდა დოვლათი, განთქმული ძველებური დოვლათი და გამოულეველი იყო ძველის-ძველი თუ პურიდამ, თუ ღვინიდამ და თუ სხვა რამ სალეველიდამ. ამ გვარი ოჯახი, ამ გვარი დიდი დარბაზი იყოფოდა მხოლოდ მაშინ, როცა მეტისმეტად მრავლდებოდა გვარი და როცა მის წარმომადგენელთ სიმრავლე კი აღარ შველოდა გლეხს კეთილდღეობას, არამედ ხელს უშლიდა საქმეთ-წარმოებას, თადარიგიანობას, რადგან ამ გვარის ოჯახის მართველობას და თავოსნობას მეტად დიდი და მხნე გონება და გამუდმებული სარისტა ეჭირვებოდა. ამ შემთხვევაში განაყოფები ისევ საკმაოდ დიდრონ-დიდრონ ჯარებად იყრებოდენ.

სამწუხაროდ დღეს სულ სხვა გვარი მოვლენა შეინიშნება: დღეს გაყრა ოჯახისა, განაწილება არა თუ დიდისა და რთულის სახლობისა, არამედ ორის ძმისაგან შემდგარის ოჯახისა ისეთი ხშირი და სამუდამო მოვლენა შეიქმნა, რომ ყველა თვალ-ხილული ჰხედავს ამ მოვლენას. გლეხთა ოჯახების განყოფას და გაყრილობას მისდევს თითოეული განაყოფის ეკონომიური დაუძლურება, სილარიბე და სილატაკე, როგორც იმიტომ, ერთის მხრით, რომ ირღვევა პირველი პირობა და თამასუქი ხვნა თესვის კარგად წარმოობისა — შეერთებული შრომა, ისე იმიტომ, რომ განყოფილსა და გაყრილს ოჯახს ცალკე ედება ყოველი ხარჯი და გადასახადი. ეს მოვლენა უფრო მეტად გახშირდა მას შემდეგ, რაც გლეხი განთავისუფლებულ იქმნა პირადი ყმობისაგან; ამ განთავისუფლების შემდეგ ძველი ზნეობრივი წყობილობა ცოტა არ იყოს შეირყა და მორჩილობას, ბატონყმობის შეჩვეულს ხალხს მოაწყურა სრული განთავისუფლება იმ წესებისა და კავშირისაგან, რომელიც ძალას ატანდა უნებლავად ეკიდა ტვირთი მჭიდრო ოჯახად შეერთებულის წეს-წყობილებისა და ამ წეს-წყობილებისაგან შეკრულს და შებოჭილს გულში ჩაეკლა სურვილი თავისუფლად ამოსუნთქვისა, ზნეობრივად და ეკონომიურად განთავისუფლებისა. ამ გვარ მდგომარეობაში ჩავარდნილი გლეხი ხშირად ჰხედავდა უსამართლობას ოჯახშივე, ხშირად გრძნობდა, რომ ზოგიერთნი მისი წევრნი გულ-აცრუებით ეკიდებოდენ შრომას, სხვის იმედად იყვნენ და ამის გამო დაბადებულს უსიამოვნობას ველარა სპობდა შერყეული ავტორიტეტი ოჯახის თავოსნისა, მოსარისტესი. უფრო უსიამოვნობა ცხად უკმაყოფილებად გარდიქმნებოდა ხოლმე რძლებისა და მულ-დედამთილების ენით, რომელნიც ახელებდენ პირველნი თავიანთ ქმრებს ერთმანეთს შორის და მეორენი სახლის უფროსს შვილებისა და რძლების წინაალმდეგ. ამ სახით ისახებოდა დრამა, ძლიერდებოდა თან და თან და ბოლოს ეძლეოდა გარეგანის მხრით კომიკური დასასრული, მაგრამ შინაარსით-კი სამწუხარო და დამღუპველი დამთავრება. ეს დამთავრება იყო და არის გლეხთა ოჯახების გახშირებული გაყრილობა, დანაწილება და, როგორც ამის პირდაპირი შედეგი, მეტის-მეტი ეკონომიური დაქვეითება, ხელ-მოკლეობა და წვა-და-დაგვის ცხოვრება. გლეხის ეკონომიური მდგომარეობის დაცემის გამო შეფერხდა რიგიანად სახემწიფო ხარჯების გასტუმრება და ჩამოვარდა ხაზინის ნაკლებულება.

ეს არის მიზეზი, რომ სახემწიფო რჩევა დღეს დიდ ზრუნვაშია, გაარჩიოს საქმე გლეხთა ოჯახების გაყრისა, ავსებს ამ საგნის გამო ცნობებს და, როგორც ისმის, ფიქრობს რაიმე საზღვარი დაედოს ამ მიზეზით წარმომდგარს გლეხთა სილარიბეს, წამალი დაედოს ამ გახშირებულს და გაძლიერებულს სენს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუდგენია ამ საქმის გამო პროექტი, რომელშიაც განმარტებულია, როგორ და რა შემთხვევაში უნდა იქმნას ნება-დართული გაყრა ოჯახისა, რომ მისი მეურნეობა არ დაირღვეს და ოჯახი არ გაღატაკდეს. ამ პროექტის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებაც, რა გვარად უნდა შეიცვალოს იგი ჩვენის გლეხობის მიმართ, საჭირო დალაგებული აზრი წარმოითქვას, აზრი, დამყარებული ფაქტიკურს ცნობებზედ, იმ გვარსავე ცნობებზედ, რომელსაც ითხოვს და ჰკრეფს დღეს სახემწიფო რჩევა. ჩვენ ვეცდებით თუ შევიძელით შევაგროვოთ ცნობანი ამ საგნის შესახებ ყველგან, საცა კი ხელი მიგვიწვდება და ცალკე წერილით მოველაპარაკოთ მკითხველს იმის თაობაზე, თუ რითი უნდა ხელ-მძღვანელობდეს უმაღლესი კანონ-მდებელი დაწესებულება ამ საქმის გარჩევის დროს მის სასურველად გადასაწყვეტად ჩვენს ქვეყანაში და თანაც განვიხილავთ პროექტს, რომელიც შეუდგენია შინაგან საქმეთა სამინისტროს.

*) რუსის გლეხიც ამ გვარივე შეხედულებისაა შრომაზე და ამ შეხედულობითვე ზომავს ყოველაფერს, მაგრამ განსხვავებაც არის. რუსის გლეხში ეს შეხედულება უკიდურესობამდეა მისული. იმას შეურაცხ-ჰყოფად არ მიაჩნია, მაგალითად ქალის უნამუსობა, ოღონდ იგი მშრომელი და ჯაფის მოყვარე იყოს. რუსის გლეხი როზგსაც არ ითაკილებს, თუ ეს ღონის-ძიება ხმარებულ იქმნა უკულმართი გლეხის გასასწორებლად. ქართველი გლეხი კი პირველს გარემოებას საშინელ სირცხვილად და მომაკვდინებელ ცოდვად სთვლის დედა-კაცისთვის და გაროზგვას კი არა, უბრალო ხელის შეხებას და გალახვასაც სიკვდილს არჩევს, ისე უყვარს თავისი თავი და ისე ეუცხოვება ყოველივე კაცის ღირსების დამამცირებელი მოქმედება.

---

— პიდეც ეგ არის, რომ ვისთვის? გაბედულად დაიწყო სვიმონმა, რადგანაც დაინახა, რომ ქალი სალაპარაკოდ გამოიწვია.—ასლან-ბირეისთვის.

ქალი მთლად აინთო, დაიფარა თვალებზედ ხელი და ძალზედ აღშფოთებული ველარ დამშვიდდა, სანამ ტირილი არ დაიწყო.

საცოდავმა მამამ აღარ იცოდა რა ექნა, ან-რისთვის უნდა მიეწერა ელეონორას ტირილი.

— რა მოგივიდა, შვილო!.. შენ შემოგევლოს ჩემი თავი!.. რასა სტირი? ლეკზედ როგორ გაგათხოვებ?— ეუბნებოდა დაფანტვით.

ელეონორამ ერთბაშად თვალები მოიწურა, გასწორდა და ჰკითხა.

— ჩემთვის ნუ სწუხარ მამავ. მერე რა პასუხი მიეცი?

— რა პასუხს მივცემდი?.. უარი შევუთვალე.

— უარი! გახარებით წამოიძახა, მაგრამ მაშინვე დამშვიდდა,—კარგი გიქნია.

— მარა გეგონა, შვილო? მილაცა ლეკს მიგაბდებდი და სულით ხორცამდის დაგკარგავდი?

— კარგი, ძალიან კარგი გიქნია!

— არა, ნეტავი იცოდე, რითი მაშინებდენ?

— რითი?

— მოგტაცებთო.

— ოჰო!.. მაგას-კი ვნახამთ, რაღაცა მუქარით წარმოსთქვა ქალმა.

— რასა ვნახამთ, შვილო! თუ მართლა მოსვლა გაბედეს, ისე გავუხდით საქმეს, რომ თავის ბედს თითონვე იწყევლიდენ.

— ომს გაუმართავთ?

— ომს-კი არა, ცას დავცემთ თავზე.

ამ ლაპარაკის შემდეგ, ქალმა მამა დაითხოვა, რადგანაც ძილის სურვილი მოიმიზეზა და მარტო დარჩა.

რა წამს მამის შემდეგ კარები მიიხურა, ქალი წამოვარდა და რაღაცა ქინიანის, გაბრაზებულის სიხარულით წამოიძახა:

— მაშ, შენც მოგეხვედრია გულში ისარი?!. ახლა-კი [illegible], ვიცი როგორც გადაგიხდი ჩემის შეურაცხყოფისთვის.

რამდენსამე დღეზედ ამ შემთხვევამ ელეონორა ფეხზედ წამოაყენა და კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ კარგა მყოფის ქალის გვერდით თხუთმეტამდის ყმაწვილი კაცი ოხრავდა და იფუფქებოდა.

## IX

ერთს საღამოს ხელთუბნელის სახლში წვეულება იყო და ყმაწვილი კაცები შეყრილიყვნენ. მრავალს მათგანს გაეგოთ, რომ ასლან-ბირეი ელეონორას მოტაცებას აპირებდა და წამოსულიყო, რომ გმირულის თავგამოჩენითაც არის მოელბო ქალის გაქვავებული გული.

ელეონორა, რომელიც ბრძოლის მოახლოვებამ გააცოცხლა, ჰგრძნობდა თავის ძალას, ესმოდა მიზეზი ამ ხალხის შეგროვებისა და მედიდურად, ებრძანებლად თავს დაჰყურებდა მისგან გალიმებს მონატრეთ.

თავის დღეში ელეონორა არა ყოფილა ისე ეშხიანი, ისე ლამაზი, ისე მხიარული, როგორც ამ საღამოს; თავის დღეში მას არ უგრძვნია ის ძალა და გავლენა ყმაწვილ ხალხზედ. გამხიარულებული, ლოყებ-წამოწითლებული, თვალ-გალვივებული ელეონორა, პირზედ მომხიბლავის ღიმილით გონებას აკარგვინებდა იქ მყოფებს და სანეტაროდ უხდიდა მისთვის თავის-დადებას. ხელთუბნელიც შესცქეროდა თავმოწონებულს ყმაწვილებს, აჭრელებულ ფერად-ფერადის ქულაჯებით გამოწყობილებს და შეიარაღებულს და გუნებაში მუქარით მოიწვევდა თავზედ ხელ-აღებულს ასლან-ბირეის.

— მობძანდეს, მობძანდეს, გონება-დაბნეული ლეკის ბატონი და ნახავს რასაც მიიღებს.

გაიმართა ვახშამი და კუპრსავით სქელი ლალის-ფერი კახური ავსებდა ჯიხვებს, მას დამწვარი გული აღტაცებაში მოჰყავდა და დამუნჯებულს მოჭიკჭიკედ გადააქცევდა. ცხელ-ცხელ ბეჭს უშობელის დეკეულისას ოშხივა-

## შინაური ქრონიკა

— დღეს, ჩვენის გაზეთის თავში დაბეჭდილია განცხადება სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტისაგან ბალის გამართვის შესახებ. ეს კომიტეტი, მუდამ ამ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში იანვრის 6-ს მართავს სკოლის სასარგებლოდ ბალს, რომელიც დიდის მხიარულებით ჩაივლის ხოლმე და რომელზედაც დიდ-ძალი ხალხი ესწრობა. ამბობენ, რომ წელსაც ეს ბალი ჩვეულებრივის მხარულებით ჩაივლისო, რადგან მრავალნი აპირობენ ის საღამო გატარონ ამ ბალში, რომლის შემოსავალი ისეთის საქველმოქმედო საგნისათვის არის დანიშნული, როგორც ჩვენის თავად-აზნაურობის შვილების აღზრდა და საკუთრად მათთვის დაარსებული სკოლის დღეგრძელობაა.

— ამ უკანასკნელს დროს პედაგოგიურ სფერაში ჩამოვარდნილი სიჩუმე დაარღვია ერთმა სასიამოვნო გარემოებამ. დღეს საყმაწვილო ლიტერატურას შეემატა ერთი განძი, პატარა საყმაწვილო წიგნი, სახელდ «გ. დია» თხზ. აკაკისა. «ბაღია» სულ 32 გვერდია, მაგრამ ეს ოც-და-თორმეტი გვერდი პატარა წიგნისა ძვირფას საჩუქრად ჩაითვლება ყმაწვილებისა და ბავშვებისათვის მოახლოვებული ახალის წლისათვის. «ბაღიაში» სულ ოთხი ზღაპარია. თითოეულს ზღაპრის ბოლოს ზნეობრივი მოძღვრება ანუ სენტენცია აქვს მოყვანილი. სენტენცია გამოიხატება რომელიმე სახალხო ანდაზით, რომელსაც მოსდევს ლექსი ზღაპრის მთავარის შინაარსისა. მერე გამოცანაა იმავ თემაზე, ზმა და ჩქარა გამოსათქმელი. ეს არის წესი ამ პატარა წიგნის მასალის დაწყობისა. პირველი ზღაპარი ისე არ მოგვეწონა, როგორც მეორე, რომელიც მეტად კოხტად და ხელოვნურად არის აშენებული, ნამდვილ სახალხო არაკს წარმოადგენს და მშვენიერის ენით არის მოთხრობილი. ენა ყველგან ღირსებით სავსე და უებროა, ლექსებს თითქმის არავითარი წუნი არ დაედებათ, გამოცანები კარგებია, ზმანი მდიდარნი და მოსწრებულნი, ჩქარა სათქმელები მახვილ-გონიერებით შედგენილნი. უკანასკნელი ზღაპარიც მშვენიერია, მაგრამ მესამე ზღაპარზე კი ეს არ ითქმის: ამ ზღაპრით ის გამოდის რომ ჭკვიანი თუ ბრიყვს შეხვდა, შეუძლიან მოატყუოს, შესვას, შეჭამოს და ისე გაუშვას. თუმცა იმ ზღაპრის სეტენცია ის არის, რომ «ბრიყვის საგძალი მალე დაილევაო», მაგრამ წაკითხვის შემდეგ ბავშვი იმასაც დაასკვნის, რომ მალე თუ დაილევა ბრიყვის სიგზალი, ამის მიზეზი ჭკვიანი კაცი იქნებაო.

დასასრულ არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ ამ კოხტა წიგნის კორექტურის გამსწორებელს მეტად ბევრი შეცდომა მოუხდენია, რაიცა საყმაწვილო წიგნისათვის ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** გერმანიის სამხედრო მთავრობის კვალობაზედ საფრანგეთის სამხედრო მინისტრმაც მოახდინა განკარგულება და გააჩხრეკინა ყველა პარიჟის ყაზარმები, რომ აღმოეჩინათ, თუ რაიმე კავშირი აქვს მდაბალი ჩინის ჯარის კაცებს საზოგადოების წეს-წყობილების მტრებთან. ჩხრეკამ აღმოაჩინა, რომ გერმანიის ჯარი უფრო საიმედო ყოფილა ამ შემთხვევაში საფრანგეთისაზე. ბევრ ჯარის კაცებს (სალდათს) უპოვეს ანარხიულნი გამოცემანი და აღმოჩნდა, რომ ბევრს მათგანს ძლიერ მკვიდრი დამოკიდებულება ჰქონია ანარხისტების მეთაურებთან. დამნაშავენი სასტიკს სასჯელს მიეცემიან. ზოგს მათგანს ალჟირში გაგზავნიან—სატუსაღო რაზმში.

ჩინელებისტოვებენ ტონკინსაო, იწყება ფრანცუზული გაზ. „Temps“-ი. მიზეზი ამისა ის კი არ არის, რომ ვითომც ჩინელთ შეშინებოდეთ: — ფრანცუზების ჯარმა იგივე დღე არ დაუყენოს იმათ, რაც ადგილობრივს მცხოვრებ ევროპიელებს, განსაკუთრებით ფრანცუზებს, მათ, ჩინელებმა დაუყენეს. ნამდვილი მიზეზი გადასახლებისა არის კანტონის ვიცე-კოროლის განცხადება, რომ ყოველი უძრავი თუ მოძრავი ქონება ჩამოერთმევა იმ ჩინელს, რომელიც დარჩება ტონკინშიო. თუმცა ბევრის გადამსახლებელისათვის ერთი და იგივე სჯდება—ეს გადასახლება ყოფა-ცხოვრებად უფასდება, მაგრამ ვიცე-კოროლის ბრძანებას მაინც ვერ გადასულან.

**ინგლისი.** თითქმის დაბეჯითებით ამბობენ ამ უკანასკნელ ხანებში, რომ ლონდონის დიდი ხიდის ქვეშ მომხდარი აფეთქება ფენიების საქმე უნდა იყოსო. ამ აფეთქებით მათ იდღესასწაულეს მეჩვიდმეტე წელი იმ დღიდამ, როდესაც ინგლისის წინაამდეგ დინამიტით ომი გამოაცხადეს. მართლაც, რომ დიდად შემფრთხალნი არიან ამ ჟამად ინგლისში. ფენიები ემუქრებიან პარლამენტსაც, სასახლესაც, ყოველ საზოგადო შენობას და თვით მცხოვრებლებსაც (ინგლისელებს). პირველში რომ წინააღმდეგობა განუცხადეს ინგლისის ხელმწიფებას ნიუ-იორკში მყოფ ირლანდიის პოლიტიკურ დასის მოთავეთა, ერთი საზარელი აფეთქება მაშინ მოახდინეს ფენიებმა ლონდონში ძლერკენველის სატუსაღოში. იმ ხანებში აუარებელი ირლანდიელები იყვნენ დამწყვდეულნი ამ სატუსაღოში. ამათ განსათავისუფლებლად მოახდინეს ეს აფეთქება, მაგრამ წადილი ვერ აღუსრულდათ. აფეთქებამ 12 ტუსალი იმსხვერპლა, 120 დაასახიჩრა და რამდენიმე ჭკუაზედაც შეირყენ. აფეთქებამ 20,000 გირვ. სტერ. ზარალი მისცა მთავრობას. ეს იყო ნიშანი და აქედამ დაიწყეს აფეთქების მოხდენა ინგლისის სხვა-და-სხვა კუთხეებში. 1883 წ. მარტის 15-ს განიზრახეს ვესტმინსტერის სასახლის აფეთქება, სადაც მოთავსებულია პარლამენტი, სამინისტროები და სხვა-და-სხვა დაწესებულებანი.

მთავრობა იმთავითვე ფიცხელად შეუდგა ამფეთქებლების აღმოჩენას და ამ უკანასკნელმა აფეთქებამ კიდე მეტი ენერგიით მოაკიდებინა ამ საქმისათვის ხელი. მას განზრახვა აქვსო საფრანგეთის რესპუბლიკის მმართველობას მიმართოს წინადადებით, რომ მოსცეს ბოროტ-მომქმედნი, რომელნიც ამ ჟამად პარიჟში არიან დაბუდებულნიო. ინგლისის მთავრობა, როგორც ადრე ვაცნობეთ მკითხველებს, 5,000 გირ. სტერ. (50,000 მანათამდე) დაჰპირდა იმ პირს, რომელიც აღმოაჩენს უკანასკნელის აფეთქების მოთავეს. ირლანდიელ ფენიების კომიტეტმაც გამოსცა თავის მხრით განცხადება, რომ ვინც აღმოაჩენს იმ პირს, მას ამოვთხრით ორივ თვალებს, მოვჭრით ენას, ცხვირს, ყურებს და ყველა თითებს ხელებზე და ფეხებზე.

ინგლისის გაზეთებს ერთობ უსიამოვნოდ დაურჩა ნემეცებისაგან ჩრდილო აფრიკის ნაპირთა უმეტესი ნაწილის დაჭერა. „ჩვენ დავიმცირეთ თავი, სწერს ერთი გაზეთი, არა თუ მარტო გერმანიის თვალში, არამედ მთელის ქვეყნიერობის თვალშიაც; ეს მიუტევებელი შეცდომაა ჩვენის მთავრობისა კოლონიურს პოლიტიკაში და მასთანვე კარგი მაგალითიც მომავლისათვის“.

მთელს ინგლისში თითქმის საშინლად თურმე მძვინვარებს ყვავილი. ლონდონში ერთი კვირის განმავლო-

რი ასდიოდა და ჰაერში მაღის გამღვიძებელს სურნელებას ატრიალებდა; მთელ-მთელი ცხვარი, წამოგებული სამკაპიანს შამფურზედ წითლად მობრაწულიყო. სადღეგრძელო ისმოდა და მას მოჰყვებოდა საერთო სუფრული. ხმა მედგრად გუგუნებდა, გრიალებდა, კაკანებდა და წკრიალებდა. არამც თუ ხალხი, თვით ჰაერიც-კი სთვრებოდა, იზნიდებოდა და მედიდურის, ტკბილის და დამყაევებელის ხმით მოუსვენრად ირთოდა და მღელვარებდა. შესწყდებოდა საერთო სიმღერა, ხმაურობას შეჩვეულს ყურს უბრალო ლაპარაკი ჩურჩულად-ღა ეჩვენებოდა; ანა არა და სიმღერისაგან გრძნობით აღსავსე გული გაწამებულს სიმუნჯეში რჩებოდა. ამ საერთო სიჩუმეში, მოისმოდა წყნარი და ტკბილი ჩონგურის ხმების ჟღერა და მას მოჰყვებოდა მკვნესავი, სევდით და გრძნობით სავსე „ჰმუნვის მახვილი, გულსა მსობია“-სებრივი ხმა.

მეჯლისმა განთიადს მიაღწია; ქეიფი გაიბა; ელეონორის ძილი დაეწყებოდა და ყმაწვილ ხალხს საჯიბროდ აქეზებდა.

ერთბაშად გაიღო კარები და კრეჭიაშვილი, სამგზავროდ ჩაცმული და შეიარაღებული შემოვარდა. თამადამ შეჰკრა თვალი და შესძახა:

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს?

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! მისცეს ბინა ყველამ.

ახლად მოსულმა, ზღურბლზედ ფეხის გადმოდგმა ძლივს მოასწრო, შესდგა ერთბაშად და თავ-დახრილი, როგორც ბნელიდგან ერთბაშად სინათლეში გასულმა კაცმა, თვალებზედ ხელი დაიფარა.

იმან წაიბარბაცა რამდენჯერმე, ამაოდ სცადა თავის შეკავება და იძულებული შეიქნა კედელს მიჰყუდებოდა.

ყველანი გაშტერებულნი უყურებდენ მასა და კრეჭიაშვილის ამ გვარი მოქმედების მიზეზი ვერ აეხსნათ.

როდესაც კრეჭიაშვილმა პირის სახიდგან ხელები აიღო და მომეჯლისეთ შეხედა, სახე მკვდარს დამზგავსებოდა და ტუჩები თრთოლით რაღაცასა ბუტბუტებდენ. მაშინ რომ მის პირთან ყური ახლო მიეტანათ, უეჭველია გაარჩევდენ სიტყვებს: „რა რიგად მიყვარს, ღმერთო ჩემო! რარიგად“!

კრეჭიაშვილმა პირ-და-პირ, თუმცა უიმედოდ, ელეონორას შეხედა და მომხიბლავი ღიმილი დაინახა; პირველად იგრძნო კრეჭიაშვილმა, რომ ბედნიერება მისთვისაცა ყოფილა, რადგანაც ქალის ღიმილი თანაგრძნობად ჩასთვალა; ამ კაცმა რამდენჯერმე მოიწურა ჭირის ოფლი, რომელიც სახეზედ ხვირთქლად გადმოსდენოდა, შეიბერტყა და ფარულის ოხვრის შემდეგ წამოიძახა:

— ბატონებო ლეკები გვიახლოვდებიან, წუთით წუთზედ დაცემას გვიქადიან!

მხიარული მეჯლისი აიშალა, ყველანი წამოცვივდენ და კარებისაკენ მიეშურნენ.

— შესდექით! ერთბაშად გაისმა ელეონორას მბძანებელი ხმა და ამ ხმაში რაღაცა ძლიერი ზარ-დამცემი ძალა იყო.

ყველანი იმავ ადგილზედ გაქვავდენ, სადაც-კი ქალის ხმამ უწია.

— ყმაწვილებო! დაიწყო ელეონორამ. — ყველა თქვენგანი შემომტრფის და მარწმუნებს, რომ ვუყვარვარ, მე არ ვიცი ვის დავუჯერო... ასლანბირეიმ შეურაცხყოფა მომაყენა და ვინც მის თავს მომიტანს, მხოლოდ ის შეიქნება ჩემის ქმრობის ღირსი!.. აბა, ვის უნდა ელეონორა, ვის შეუძლიან მისთვის თავის გადადება?.. სცადეთ!

ამ დროს მოისმა თოფის ხმა, ნიშანი ლეკთა მოსვლისა და ომის დაწყებისა; ყველანი გარედ გამოცვივდენ.

ა. მოჩხუბარიძე.

(შემდეგი იქნება)

ბაში გამხდარა ავად 1,027 კაცი ყვავილით.

ოსმალეთი. ყველა განათლებული სახელმწიფონი ევროპისა აუხირდენ ოსმალეთს იმ შემთხვევის გამო, რომელიც ამ ორი-სამი კვირის წინად მოხდა მაკედონიაში. ადგილობრივნი მცხოვრებნი მაჰმადიანნი დაერივნენ, გვაცნობებდენ გაზეთები, ბოლგარიელებს და რუმინებს და საზიზღარი ძალა იხმარეს მათზე—აწამეს, დატანჯეს ისინი. ოსმალოს მთავრობა უარს ჰყოფს ამ გაზეთების ცნობებს. პირიქით თვით ბოლგარიელნი და რუმინები, ავაზაკური გუნდებად შეგროვილნი, თავს ესხმიან ადგილობრივთ მცხოვრებთ ოსმალებსა და თავისიანებსაცაო. ოსმალონი ამტკიცებენ, რომ მაჰმადიანების მძულვარებისა და მტრობის აზრი ებეჭდებათ მოწაფეებს ყოველს ბოლგარელების და რუმინების სკოლებშიო.

## ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

დეკემბრის 23.

შლისელბურგი. დაიწვა სამი სახელოსნო აქაურის ჩითის ფაბრიკისა. შენობებს ცეცხლი კიდევ უკიდია.

ტრიოლი. საზოგადო კრებამ აქაური საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისამ ბანკი შეუძლებლად გამოაცხადა და გადასწყვიტა, რათა იშუამდგომლონ ხანგრძლივის ლიკვიდაციის და სხვა შეღავათის მიცემის თაობაზედ.

ლონდონი. გუშინ მიწის-ქვეშე გაყვანილ რკინის-გზაზედ აფეთქება მოხდა, როგორცა სჩანს, დინამიტით. ვაგონების მინები ამოიმტვრა; გაზი ჩაჰქრა; სამი კაცი დაიჭრა.

ბერლინი. ბისმარკის ორგანი ,,ჩრდილო-გერმანიის გაზეთი'' ამბობს, რომ კარგი იქმნება რუსეთის კეროსინი მოიზიდოს გერმანიაშიო; იგი ჰფიქრობს, რომ ამ კეროსინის გავრცელება გერმანიაში სასარგებლო იქნება, რადგან ამერიკულს კეროსინს ცილობას გაუწევსო. განსაკუთრებით მნიშვნელობა რუსეთის კეროსინს მაშინა აქვს, თუ ომი მოხდა და გერმანიის ნავთ-სადგურები დაიხურაო.

პარიჟი. კამპენონის მაგივრად სამხედრო მინისტრად დანიშნულია ლევალი. ჰფიქრობენ რომ ამ ცვლილებას მოჰყვება გაგზავნა ტონკინში კარგა ძალის ჯარისა და საზოგადოდ ენერგიული მოქმედება ჩინეთის წინააღმდეგ.

დეკემბრის 24 ს

ხანოი. გენერალმა ნეგრიემ სიმაგრე ჩუს მახლობლად დაამარცხა 6000 კაცისაგან შემდგარი ჩინეთის ჯარი.

პარიჟი. გუშინ ბლანკის საფლავზედ ანარხისტებმა დემონსტრაცია მოახდინეს; წარმოთქმულ იყო ცხარე სიტყვები ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მაგრამ წესიერება არ დარღვეულა.

მადრიდი. როგორც სჩანს ოფიციალურის ცნობიდამ, მხოლოდ ერთს პროვინცია ალგამში მიწის ძვრისაგან დაიქცა 1300 სახლი და მოკვდა და დასახიჩრდა 280 ადამიანი.

## ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 16 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ.

აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — —1 გ. $2^1/_2$

მეორისა — — —1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის —1 გ. $4^1/_2$

მეორისა — — —1 გ. 3 კ.

მესამისა — — —1 გ. $2^1/_2$

ჯვარის-მამი პური:

პირველი ხარის. ლავაში 1 გ. $4^1/_2$

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. $3^1/_2$

მესამისა — — —1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა —1 გ. 8 კ.

მეორისა — — —1 გ. 7 კ.

ხბოსი . . . —1 გ. 15 კ.

ცხვრის ხორცი —1 გ. 8 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა —1 გ. 8 კ.

მეორისა — — —1 გ. 7 კ.

### რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ ღ საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ ღ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

ქ. გორში.

დავიწყე დღეიდგან საქმის წარმოება. ყველა მსურველთ გავუყიდი სწრაფად მაზანდაზედ ყოველს მათს მიწის ნაწარმოებს, პირუტყვს, საქონელს და მატყლს. ვუყიდი ყველა ნაირს სავაჭროს გამოგზავნილის სიებით, აგრეთვე გამოვუწერ როგორც რუსეთიდამ, ისრე სამზღვარ გარეთიდამ ყველანაირ სავაჭროს, მანეთში $20_0/^0$ წინ მიღებით ზეთ გასაგზავნად ფაბრიკის პატრონებთან, დანარჩენს ფულს მივიღებ საქონლის ჩაბარების დროს. ვიღებთ იჯარით სახლების სამხატვროს (სამალიარო) საქმეს და შპალერების გაკვრას გორის მაზრაში ყველგან, ამავე ნაირად სადაც რკინის გზაზედ მატარებელი ჩაუვლის ერთ ვერსამდინ ბაქოდან ფოთამდე და ბათუმამდე.

იანვრის პირველს 1885 წელს დავიწყებ გასყიდვას პარტიობით და წვრილადაც ზეთით გალესილ კრაკებს, კისტებს, ყველა ნაირ ლაკს მოხარშულ ზეთს და მშრალი კრასკებისას. ფასები წერილებთაც შეიძლება ვაცნობო მუშტარს.

კამისიას ავიღებ სავაჭროებისთვის 50 მანეთამდე, მანეთზედ 3 კაპ. 100 მანეთამდე მანეთზედ 2 კაპ. 500 მანეთამდინ — თითო კაპ. და ზემოდ ნაკლებს მორიგებისამებრ. მივიღებ და გავგზავნი ყოველგან საქონლებს ხარჯ გარდა ფუთს ერთის კაპეიკის. კამისიით ფულიან პაკეტებს, წიგნებს ტელეგრამას, განცხადებას მივიღებ და გავგზავნი კუთვნილებისადმი უკამისიოდ; პირნახულებისთვის და სამალიარო წამლებისთვის იქნება ბინა. თ. ბეგთაბეგოვების შენობაში, ფრანგების ეკლესიის ახლო და სამწერლო სახლი თ. ნიკოლოზ დიასამიძის შენობაში დიდ სახემწიფო ქუჩაზედ.

(12—12) ალალო თუთაევი.

### ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1--40 | -- — 1—80 |
| — — 1--60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ზურგელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, მოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, გლოკაწინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—57)

გაიხსნა ხელის მოწერა 1885 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს

## ,,მწყემსზედ''

და ,,მწყემსი''-ს რუსულს თვიურს დამატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახოეცილო მმართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2) გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში საეკლესიო და საზოგადოებრივი სალიტერატურო სწავლა და ცოდნა; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათ-მიერ მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი ,,მწყემსი'' გამოვა წარსული წლების მსგავსად ორ კვირაში ერთხელ ორ საბეჭდავ ქაღალდის ფურცელზე.

რუსული დამატება ,,მწყემსი''-სავე პროგრამით და მიმართულებით გამოვა ორ საბეჭდავ ქაღალდის ფურცელზე—თვეში თითოჯერ.

,,მწყემსი''-ს ფასი მთელი წლისა გაგზავნით — **ხუთი მანათი.**

ნახევარის წლის — **სამი მანათი.**

,,მწყემსი''-ს ფასი რუსულის თვიურის დამატებით ერთი წლისა **ექვსი მანათი.**

ნახევარი წლისა — **ოთხი მანათი.**

ცალკე რუსული დამატების ფასი წლისა — **სამი მანეთი.**

ნახევარი წლისა — **ორი მანეთი.**

წერილებით და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში საკუთარს რედაქტორის სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію ,,МЦКЕМСИ''. (ყვირილაში, ,,მწყემსი''-ს რედაქციაში).

(3—2)

Доз. ценз. Тифлисъ, 24 Декабря 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი